სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/116

ქ. თბილისი 27 05 2019 წ.

2018-2019 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის შუასემესტრული გამოცდების გადაბარების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის, ფაკულტეტების დეკანების შუამდგომლობისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 მაისის №01-05-04/115 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებს მიეცეთ 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შუასემესტრული გამოცდების გადაბარების უფლება.
2. შუასემესტრული გამოცდების გადაბარება განხორციელდეს 2019 წლის 3 ივნისიდან 8 ივნისის ჩათვლით, სასწავლო კურსის წამყვან პროფესორებთან/დეკანატთან/საგამოცდო ცენტრთან/სწავლების დეპარტამენტთან შეთანხმებულ დროსა და ადგილზე.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (თ. წერეთელი).
4. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი არჩილ ფრანგიშვილი